საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური
STATE SECURITY SERVICE OF GEORGIA

SSG 6 22 00259441

23/12/2022

მოქალაქე **ანი ყრუაშვილს**

ელ-ფოსტა: foi+request-1309-b90ae3bb@askgov.ge

ქალბატონო ანი,

თქვენი 2022 წლის 13 დეკემბრის წერილის პასუხად წარმოგიდგენთ სამსახურის მეერ წარმოებულ სტატისტიკურ ინფორმაციას:

2008 წლიდან 2022 წლის 15 დეკემბრის ჩათვლით რუსეთის საოკუპაციო ძალების მიერ უკანონოდ იქნა დაკავებული 3 410 პირი, მათგან 1 932 ოკუპირებული აფხაზეთის, ხოლო 1 478 ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის მიმართულებით. ოკუპირებული აფხაზეთის მიმართულებით უკანონოდ დაკავებულთაგან - 1 517 კაცი, 321 ქალი და 94 არასრულწლოვანია, ხოლო ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის მიმართულებით უკანონოდ დაკავებულთაგან 1 254 კაცი, 175 ქალი და 49 არასრულწლოვანი.

აღნიშნულთაგან, ოკუპირებული აფხაზეთის მიმართულებით, 2008 წელს უკანონოდ დააკავეს - 13, 2009 წელს - 91, 2010 წელს - 114, 2011 წელს - 84, 2012 წელს - 192, 2013 წელს - 393, 2014 წელს - 375, 2015 წელს - 336, 2016 წელს - 193, 2017 წელს - 52, 2018 წელს - 28, 2019 წელს - 27, 2020 წელს - 13, 2021 წელს - 11, ხოლო 2022 წელს - 10 პირი.

რაც შეეხება ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონს, 2008 წელს უკანონოდ დააკავეს 9, 2009 წელს - 79, 2010 წელს - 77, 2011 წელს - 140, 2012 წელს - 108, 2013 წელს - 139, 2014 წელს - 142, 2015 წელს - 163, 2016 წელს - 134, 2017 წელს - 126, 2018 წელს - 100, 2019 წელს - 86, 2020 წელს - 64, 2021 წელს - 70, ხოლო 2022 წელს - 41 პირი.

რუსეთის საოკუპაციო ძალების წარმომადგენლები ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის მიმართულებით უკანონო დაკავებებს ახორციელებენ ყაზბეგის, დუშეთის, ქარელის, კასპის, გორის, ხაშურის, საჩხერისა და ონის მუნიციპალიტეტების სოფლების მიმდებარედ არსებული საოკუპაციო ხაზის გასწვრივ. რაც შეეხება ოკუპირებული აფხაზეთის მიმართულებას, უკანონო დაკავებები საოკუპაციო ხაზზე ზუგდიდისა და წალენჯიხის მუნიციპალიტეტების მიმდებარედ ფიქსირდება.

საქართველო, ქ. თბილისი 0186, ვაჟა-ფშაველას გამზირი №72, ტელ. (+995 32) 2412023, (+995 32) 2412048
72, Vazha-Pshavela Avenue, Tbilisi 0186, Georgia, Tel.(+995 32) 2412023, (+995 32) 2412048
info@ssg.gov.ge

უკანონოდ დაკავებულთა უმეტესობამ უკანონო პატიმრობაში რამდენიმე საათი ან რამდენიმე დღე დაჰყო. არის შემთხვევები, როდესაც უკანონო პატიმრობა ხანგრძლივი პერიოდით გრძელდება.

პატივისცემით,

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის
ადმინისტრაციის უფროსი
ნანა ბერიძე